

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე.

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების რაოდენობა, გასულ წელთან შედარებით, გაზრდილია.

2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით მომართა 2 313 მოქალაქემ, დაკმაყოფილდა 1 495 მოქალაქის განცხადება შემდეგი პროგრამების მიხედვით:

ა. სამედიცინო მომსახურების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 172 მოქალაქეს.

პროგრამით გახარჯული თანხა შეადგენს _ 41 367ლარს.

ბ. მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამიდან - დახმარება გაეწია 981 მოქალაქეს. პროგრამით გახარჯული თანხა შეადგენს - 133 650 ლარს.

გ. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამიდან - ერთჯერადი მატერიალური დახმარება (საშეშე მერქნის შესაძენად) გაეწია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ 37 ოჯახს.

გაცემული თანხა სათბობის უზრუნველსაყოფად შეშის შესაძენად შეადგენს 6 500 ლარს. დ.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 125 მრავალშვილიან (ოთხი და მეტი 18 წლამდე) ოჯახს.

სულ გახარჯულია 107 325 ლარი

ე. ვეტერანთა სარიტუალო დახმარების პროგრამიდან - სარიტუალო დახმარება გაეწია 13 ვეტერანის ოჯახს.

სულ გახარჯულია 3 250 ლარი.

ვ. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 57 მოქალაქეს.

სულ გახარჯულია -6 840 ლარი.

ზ. ხანდაზმულთა დახმარების პროგრამიდან - რომლის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წლის და 100 წელს ზემოთ მყოფი მოქალაქეების დახმარება, აღნიშნული პროგრამიდან დახმარება გაეწია 2 მოქალაქეს.

სულ გახარჯულია - 600 ლარი.

თ. უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამიდან - რომლის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსინათლო ინვალიდის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით - გაეწია 52 მოქალაქეს.

სულ გახარჯულია 10 400 ლარი.

ი. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამიდან - რომლის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ- მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია ერთ ბავშვს - 300 ლარის ოდენობით.

პროგრამით გახარჯული -- 300 ლარი.

კ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 8 ბენეფიციარს (იგულისხმება ის შშმ პირები, რომლებიც სარგებლობენ გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციის „დღის ცენტრის“ მომსახურეობით).

სულ გახარჯულია 22 000 ლარი.

ლ. „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ადმინისტრაციაში მყოფ „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ ქვეპროგრამა - რომელიც ითვალისწინებს ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ადმინისტრირებაში მყოფი „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მაცხოვრებელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, მათთვის კომუნალური გადასახადების გადახდით უზრუნველყოფას.

სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის კომუნალური გადასახადი (ბუნებრივი აირი) - **გახარჯულია 2278 ლარი.**

მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსება (კომუნალური გადასახადი) **გახარჯულია 6 629 ლარი.**

მ. სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება- გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ ა.(ა).ი.პ. „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით რეგისტრირებულია 11 ბენეფიციარი - ერთ ბენეფიციარზე თვეში 150 ლარი.

სულ გახარჯულია 18 150 ლარი

ნ. ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 75 მოქალაქეს. გაცემული თანხა შეადგენს **24 402 ლარს.**

ო. C ჰეპატიტით დაავადებულთა დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 72 მოქალაქეს.

სულ გახარჯულია 14 832 ლარი.

პ. სხვა სოციალური ღონისძიებები - ვეტერანთა დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 33 მოქალაქეს.

სულ გახარჯულია 6 600 ლარი.

კერძოდ, დახმარება გაეწია: ა) 9 მაისს მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 12 ვეტერანს - ერთჯერადი მატერიალური დახმარება (თითოეულზე 200 ლარის ოდენობით), ბ) 2008 წელს აგვისტოს ომში დაღუპულ თეიმურაზ ჭიტაძის ოჯახს გაეწია ერთჯერადი

მატერიალური დახმარება - 200 ლარის ოდენობით, გ) 27 სექტემბერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულ მებრძოლებს (სამაჩაბლო-აფხაზეთის ომი) გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება (20 ოჯახს - თითოეულზე 200 ლარის ოდენობით).

ჟ. სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამიდან - სულ დახმარება გაეწია 24 ოჯახს. აქედან, 4 ოჯახს ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი და გაეწიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება (3 ოჯახს - 500 ლარის ოდენობით, 1 ოჯახს - 300 ლარის ოდენობით). ხოლო 18 უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს ყოველთვიურად ერიცხება საცხოვრებელი ბინის ქირა 105,28 თ. ოდენობით.

სულ ამ უხლით გახარჯულია 110 000 ლარი.

ხოლო 818 შეჭირვებულ ოჯახს, რომელმაც განცხადებით მომართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას სამედიცინო მომსახურების, ოპერაციული მკურნალობისა და ძვირადღირებული მედიკამენტების შესაძენად და ვერ აკმაყოფილებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალური პროგრამებიდან გაცემის პირობებს, დახმარება გაეწიათ გამგებლის **სარეზერვო ფონდიდან**.

განათლება

მოგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებით, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის მუხლში, პროგრამული კოდი 04-02-ის შესაბამისად, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2016 წლის შედეგებისა და მოწოდებული ცნობების საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის ორმა მოსწავლემ, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვეს 100%-იანი სახელმწიფო გრანტი და ჩაირიცხნენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დაჯილდოვდნენ 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით, ესენია:

1. ანი საბაშვილი პ/ნ 33001080057, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა.
2. ცისია მოისწრაფეშვილი პ/ნ33001078235, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლა.

ხოლო 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მიმღები მოსწავლის სკოლა სადაც სწავლობდა გადაეცათ 1000 (ათასი) ლარი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლის კაპიტალური ხარჯებისათვის.

რაც შეეხება სკოლამდელ დაწესებულებებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების განყოფილების სამოქმედო ტერიტორია მოიცავს 35 სკოლამდელ დაწესებულებას, 1 663 აღსაზრდელით (ფუნქციონირებს 61 ჯგუფი). დასაქმებულია 518 თანამშრომელი, აქედან 165 - აღმზრდელი, 62 - უმაღლესი განათლებით, 52 - საშუალო სპეციალური განათლებით, 25 - საშუალო განათლებით.

მიმდინარე სასწავლო წელს გარემონტდა და მოწესრიგდა სამზარეულოები, სველი წერტილები. სრული თანდართების დაცვით აშენდა 5 ახალი საბავშვო ბაღი (ჭანიეთი, ბახვი, ცხემლისხიდი, წვერმაღალა და სოფელ ოზურგეთი).

სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით თითქმის ყველა საბავშვო ბაღისათვის შეძენილი იქნა ახალი ინვენტარი, სათამაშოები, სამზარეულოს ჭურჭელი, სხვადასხვა სახის ელექტროტექნიკა და სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანსაღ და მრავალფეროვან კვებას, ბავშვებს მიეწოდებათ ბალანსირებული საკვები. ცენტრის მიერ ერთი ბავშვის კვება დღეში შეადგენს 2.19 ლარს. კვება სამჯერადია. მენიუ ხელმისაწვდომია ყველა მშობლისათვის. კვების პროდუქტების შენახვისას დაცულია უსაფრთხოება, მოწმდება ბაღში მიტანამდე პროდუქტების ვარგისიანობა სერთიფიკატის დადასტურებით, დაცულია შენახვისა და გაცემის ყველა სანიტარული ნორმები, ყველა სკოლამდელ დაწესებულებას ჩაუტარდა სადეზინფექციო სამუშაოები, განათლების განყოფილებამ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრთან ერთად განახორციელა საბავშვო ბაღების მონიტორინგი, მიეცათ მითითებები და რეკომენდაციები.

ა.ა.ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „მოგზაურობა ზღაპრის სამყაროში“ მონაწილეობა მიიღო 23 საბავშვო ბაღმა, მათ გადაეცათ სიგელები და მხატვრული ლიტერატურა.

ცენტრის მეთოდური სამსახურის მიერ რეგულარულად ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, როგორც აღსაზრდელთათვის, ასევე აღმზრდელთათვის, მუშაობის განზოგადებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. აქტივობები ჩატარდა მაკვანეთის, ლიხაურისა და ნარუჯის საბავშვო ბაღებში.

2016 წლის ნოემბერში საბავშვო ბაღის მენეჯერთათვის, მზარეულებისა და მედღებისათვის სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა ტრენინგი თემაზე „კარგი ჰიგიენის პრაქტიკა, ხუთი გასაღების პრინციპით უვნებელი სურსათისათვის“

საბავშვო ბაღებში ჩატარდა საშემოდგომო ზეიმები „წითელ-ყვითელ ფერებით შემოდგომა მოვიდა“ და საახალწლო ზეიმები. ყველა აღსაზრდელს დაურეგდა საახალწლო საჩუქრები.

სასწავლო სააღმზრდელო და შემეცნებითი ღონისძიებები ჩატარდა ყველა ბაღში. აქტივობებს იყენებენ მიზნობრივად და ეფექტურად.

ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება

რაც შეეხება ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებას, წარმოგიდგინთ განხორციელებულ ღონისძიებებს:

1. იანვარი-თებერვალი-მარტი - ჩატარდა ინტელექტ-თამაშები „რა? სად? როდის?“ პროექტის ღირებულება - 432 ლარი.
2. 5 იანვარი - საჩუქრები გადაეცა მედალოსან მოსწავლეებს (5 ოქროს და 3 ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე)
3. 14 აპრილი - მოეწყო სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 690 ლარი.
4. აპრილი-მაისი - ჩატარდა ინტელექტ-თამაშები „რა? სად? როდის?“ პროექტის ღირებულება - 407 ლარი.
5. 21 მაისი - საგანმანათლებლო მედია-პროექტ „ეტალონი“- საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თბილისის სპორტ სასახლეში ახალგაზრდობის დასწრება.
6. 13 ივნისი - მოეწყო 13 ივნისის სტიქიასთან დაკავშირებული ფოტო- გამოფენა - სახვითი ხელოვნების გალერეაში, გახარჯულია 150 ლარი.
7. 7 ოქტომბერი - „ლაშქრობა“ ექადიის ტყე-პარკში - გახარჯულია - 776 ლარი.
8. 18 ოქტომბერი - საგანმანათლებლო მედია-პროექტ ეტალონის ჩემპიონატის ღონისძიების უზრუნველყოფა დაბა ურეკის კულტურის სახლში.

9. 10-25 ნოემბერი - ჩატარდა ინტელექტ-თამაშები „რა? სად? როდის?“ პროექტის ღირებულება - 697 ლარი.
10. 20 დეკემბერი - პროექტი „ჩემი სოფლის ისტორია“ – 896 ლარი
11. დეკემბერი - დამზადდა მაისურები და კეპები ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ლოგოთი -2000 ლარი.
12. დეკემბერი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან სტუმრობა, საახალწლო საჩუქრების და მისალოცი ბარათების გადაცემა.
13. დეკემბერი - საჯარო სკოლის დირექტორებისთვის, საბავშვო ბაღების მენეჯერებისა და სოფლის ექიმებისთვის საახალწლო საჩუქრების და მისალოცი ბარათების გადაცემა.
14. დეკემბერი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების შემოქმედებით საქმიანობაში წახალისების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელშეწყობით, გამოიცა ახალგაზრდა პოეტების ლექსების კრებული, რომელშიც თავმოყრილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ლექსები. გახარჯული თანხა - 300 ლარი.

სამსახურის უფროსი:

მაიზერ ცელაძე